ალლაჰი უფრო მოწყალეა თავისი მონების მიმართ, ვიდრე ეს ქალი თავისი შვილის მიმართ

უმარ იბნ ალ-ხატტაბისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემულია, რომელმაც თქვა: «ალლაჰის მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ტყვეები მოიყვანეს. მათ შორის იყო ქალი, რომელიც ძუძუდან რძეს იწველიდა და ბავშვებს ასმევდა. როცა რომელიმე ბავშვს პოულობდა, მას გულზე იკრავდა და ძუძუს აწოვებდა, მაშინ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვითხრა: «ფიქრობთ, რომ ეს ქალი თავის შვილს ცეცხლში ჩააგდებს?» ჩვენ ვუპასუხეთ: "არა, თუ მას შეუძლია ამის არ გაკეთება". მაშინ შუამავალმა თქვა: «ალლაჰი უფრო მოწყალეა თავისი მონების მიმართ, ვიდრე ეს ქალი თავისი შვილის მიმართ».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰავაზინის ტყვეები მოიყვანეს. მათ შორის იყო ერთი ქალი, რომელიც თავის ბავშვს ეძებდა. როდესაც რომელიმე ბავშვს პოულობდა, იღებდა და ძუძუს აწოვებდა, რადგან რძის დაგროვების გამო ტკივილს გრძნობდა. ბოლოს, როცა თავისი შვილი ტყვეებს შორის იპოვა, ის გულზე მიიკრა და ძუძუ აწოვა, მაშინ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თავის საჰაბებს ჰკითხა: ფიქრობთ, რომ ეს ქალი თავის შვილს ცეცხლში ჩააგდებს? ჩვენ ვუპასუხეთ: არა, იგი არასოდეს ჩააგდებს მას ნებაყოფლობით. მაშინ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: ალლაჰი უფრო მოწყალეა თავისი მუსლიმი მონების მიმართ, ვიდრე ეს ქალი თავის შვილთან.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/10095